მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთა სწავლების პროცესში აუდიო დესკრიფციის გამოყენების საკანონმდებლო რეგულირება

ანა ხაჭაპურიძე, დოქტორანტი

საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი, სამართლის სადოქტორო პროგრამა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი.

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2024.09.01.04

აბსტრაქტი

სტატია ეხება აუდიოდესკრიპციის დანიშნულებასა და მის ადგილს კანონმდებლობაში და მის ირგვლივ საქართველოში დღეისათვის არსებულ მდგომარეობას აღწერს, რაც გარკვეული სახის პრობლემებისა და გამოწვევების აღმოჩენის საფუძველია. აღსანიშნავია, რომ აუდიოდესკრიპციის გამოყენება სასწავლო პროცესში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დანერგილი. რაც მისი სიახლითაა გამოწვეული. ამ საშუალებით სარგებლობის შემდგომი სრულყოფისთვის სასურველია უკვე შესრულებული საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და შეფასების საფუძველზე, საჭირო ცვლილებების განხორციელება.

ნაშრომში გამოყენებულია დოგმატურ სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებითაც საკითხის შესახებ შესასწავლ წყაროებში სამართლის ნორმების კვლევა არის განხორციელებული. ეს მეთოდი სამართლის ნორმების შესწავლასა და მათში ხარვეზების გამოვლენას გულისხმობს. ასევე გამოყენებულია სოციალურ-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, გამოკვლეულია თემასთან დაკავშირებული სამართლის ნორმების ეფექტიანობა, სამართლებრივი ცნობიერება, და კულტურა.

სოციალურ-სამართლებრივი კვლევის მეთოდთან ერთად ნაშრომში გამოყენებულია ტექსტების ინტერპრეტაციისა და ახსნა-განმარტების, გაგების საშუალება-ჰერმენევტიკა. ასევე გამოყენებულია ინტერნეტ რესურსების მოძიებისა და დახარისხების მეთოდი.

ყოველივე ამის შედეგად დადგინდა რა სახის პრობლემებს ვხვდებით აუდიოდესკრიპციის გამოყენებისას და რაოდენ მნიშვნელოვანია მისი საკანონმდებლო რეგულირება.

აუდიოდესკრიპციის შესახებ ინფორმაციის შესწავლამ რამდენიმე დასკვნის გაკეთება გახადა შესაძლებელი, რის საფუძველზეც რამდენიმე რეკომენდაცია გამოიყოფა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ, დასახელებული დამხმარე საშუალების შესახებ ცნობიერება დაბალია, რაც მისი გამოყენების სიხშირეს ამცირებს. იმისათვის, რომ აუდიოდესკრიპციის გამოყენება სავალდებულო გახდეს, მის შესახებ ინფორმაცია სათანადო საკანონმდებლო აქტების ნორმებში უნდა ჩაიწეროს. ლეგიტიმაცია საკმარისი ვერ იქნება თუ შესაბამის პირებს აუდიოდესკრიპციის სწორად გამოყენებისათვის საჭირო ცოდნა არ მივაწოდეთ, ამისათვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს ჩაუტარდეთ სწავლება, რომელიც აუდიოდესკრიპციის გამოყენების სპეციფიკის გაცნობაზე იქნება ორიენტირებული და აკადემიურ პერსონალს მისი მარტივად გამოყენების ტექნიკას ასწავლის, რათა, ეს საშუალება, თითოეულმა მათგანმა ყოველდღიურობის ნაწილად აქციოს.

საკვანძო სიტყვები: სწავლების პროცესი, საკანონმდებლო რეგულირება, აუდიოდესკრიპცია, მხედველობის შეზღუდვის მქონე პირი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი

Legal regulation of the use of audio description in the process of teaching people with visual impairment

Ana Khachapuridze, PhD student

Davit Agmashenebeli University of Georgia, Doctoral Program in Law

Georgian Government Administration, Human Rights Department Human Rights Secretariat Specialist.

Abstract

The article deals with the purpose of audio description and its place in the legislation and describes the current situation in Georgia around it, which is the basis for discovering certain types of problems and challenges. It should be noted that the use of audio description in the educational process has not yet been properly introduced. which is caused by its novelty. In order to further improve the use of this means, it is desirable to evaluate the effectiveness of the already performed activities and implement the necessary changes based on the evaluation.

The paper uses the method of dogmatic legal research, through which the research of legal norms in the sources to be studied about the issue is carried out. This method involves the study of legal norms and the detection of flaws in them. The socio-legal research method is also used, the effectiveness of legal norms related to the topic, legal awareness, and culture are investigated. Together with the method of socio-legal research, the work uses the means of interpretation and explanation of texts, understanding - hermeneutics. The method of searching and sorting Internet resources is also used.

As a result of all this, it was determined what kind of problems we face when using audio description and how important its legal regulation is.

The study of information about audio description made it possible to make several conclusions, based on which several recommendations were made. First of all, it should be noted that the awareness of the named aid is low, which reduces the frequency of its use. In order to make the use of audio description mandatory, information about it should be recorded in the norms of appropriate legislative acts. Legitimation will not be enough if we do not provide the relevant persons with the necessary knowledge for the correct use of audio description, for this it is important to provide training to the representatives of the educational field, which will be focused on getting to know the specifics of the use of audio description and to teach the academic staff the technique of its easy use, so that each of them can make this tool a part of their daily life.

Key words: teaching process, legal regulation, audio description, visually impaired person, person with special educational needs

შესავალი

XXI-ე საუკუნეში ტექნოლოგიები ელვის სისწრაფით ვითარდება. სიახლეს მრავალ დარგში ვხვდებით, მათ შორის საგანმანათლებლო სფეროშიც. გასულ საუკუნეში, ელექტრონული სასწავლო მასალები ასეთი სიხშირით არ გამოიყენებოდა და განათლების მიღება მათი გამოყენების გარეშეც იყო შესაძლებელი. დღეისათვის ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ნებისმიერი საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად მასზე დამატებითი მასალების გაცნობაა საჭირო. სასწავლო მასალები და დამატებითი რესურსები ზოგიერთ შემთხვევაში ვიზუალური სახით არის წარმოდგენილი, რაც საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის მისაღებია. ერთი შეხედვით, ისინი ძალიან ეფექტური და მოსახერხებელია, თუმცა, როგორც წესი გაუთვალისწინებელი რჩება, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის ვიზუალური მასალების აღქმა შეუძლებელია. საზოგადოების ამ ნაწილს მხედველობის შეზღუდვის მქონე პირები - მცირემხედველები და უსინათლოები წარმოადგენენ. ცნობიერების განვითარებამ შშმ პირთა ინკლუზია შესაძლებელი გახადა და დღეისათვის მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანები განათლებას სხვათა თანასწორად იღებენ, თუმცა მათ სასწავლო პროცესის მორგება და სასწავლო მასალების ადაპტირება ესაჭიროებათ. შეზღუდული შესაძლებლობის მრავალფეროვნების გათვალისწინებით ინკლუზიური განათლება ნებისმიერი ადამიანის სასწავლო პროცესში ჩართვის კარგი საშუალებაა. ეს განსაკუთრებით მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებს ეხებათ, რადგან მათ მკვეთრად განსხვავებული სწავლება არ ესაჭიროებათ, მთავარია სასწავლო გარემო და რესურსები მათთვის უნივერსალური დიზაინის [1] შესაბამისად იყოს ადაპტირებული. თითოეულ შშმ პირს ხარისხიანი განათლების მიღების უფლება აქვს.

„ეს საკითხი წარმოადგენს მნიშვნელოვან ასპექტს საერთაშორისო პრინციპისა - „განათლება ყველასათვის.“ [2]

1. ვიზუალური სასწავლო მასალების მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა

იმისათვის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, სსსმ პირთათვის ნორმალური სასწავლო გარემო შეიქმნას, სასწავლო პროცესისა და გარემოს ადაპტირებაა საჭირო, ასევე მნიშვნელოვანია თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლების დაცვა. იმისათვის, რომ შეზღუდვის არმქონე პირთათვის მიწოდებული ვიზუალური სასწავლო მასალები მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებმაც გამოიყენონ მათი სპეციალური საშუალებით ადაპტირებაა საჭირო. ეს საშუალება აუდიოდესკრიპციაა. იგი ჯერ კიდევ უცნობია და მისი გამოყენების შემთხვევებს იშვიათად ვხვდებით.

მე, როგორც მხედველობის შეზღუდვის მქონე პირს, მსურს აღნიშნული დამხმარე საშუალება, აუდიოდესკრიპცია გაგაცნოთ და მის მნიშვნელობაზე გესაუბროთ, ასევე როგორც იურისტმა განვმარტო და წარმოგიდგინოთ რა სიკეთეს მოიტანს აუდიოდესკრიპციის საკანონმდებლო რეგულირება. აღსანიშნავია, რომ აუდიოდესკრიპცია მხოლოდ რომელიმე კონკრეტული საგნის ან საკითხის სწავლების ადაპტირებისათვის არ გამოიყენება. მხედველობის შეზღუდვის მქონე პირების სწავლებისას, აუდიოდესკრიპციის გამოყენება მათ სასწავლო შედეგებს გააუმჯობესებს, რადგან ისინიც შეძლებენ გაეცნონ ყველა სახის თანამედროვე რესურსებს. „ვიზუალური მასალა (როგორიცაა: გრაფიკა, ცხრილები, სქემები, ანიმაცია და ვიდეომასალა) არის ძალიან ეფექტური სასწავლო მედია, თუმცა ის ერთნაირად ხელმისაწვდომი არ არის ყველასთვის, განსაკუთრებით კი მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის, შესაბამისად, ხშირად საჭირო ხდება დამატებითი მოდალობის - მაგ. სმენითი არხის გამოყენება, იმისათვის რომ წარდგენილი ვიზუალური ინფორმაცია აღქმადი იყოს მხედველობის დარღვევის

მქონე პირისთვისაც ამ შემთხვევაში, ხდება ვიზუალური ინფორმაციის ალტერნატიული გზით ანუ ვერბალურად, (და/ან ტაქტილურად, წარდგენა და გამოსახულებების დეტალური აღწერა, ტრანსკრიპტის უზრუნველყოფა.“ [3]

„აუდიოდესკრიპცია უზრუნველყოფს წვდომას ვიზუალურ ელემენტებზე-მოქმედება, პარამეტრები, ჟესტები, სახის გამომეტყველება და სხვა ვიზუალურად აღსაქმელი სურათები: ტელევიზია/ფილმი, მუზეუმის გამოფენები, თეატრი და სხვადასხვა ღონისძიებები. შედეგად მხედველობა დაქვეითებულ ადამიანებს შეუძლიათ უფრო სრულად ისარგებლონ ყველა სახის კულტურული ღონისძიებებით და ეს გამოცდილება გაუმჯობესებულია თითოეული მონაწილისთვის [4].

2. საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება

განათლების სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს შორის, ზოგადი განათლების შესახებ კანონი5 შშმ პირთა სწავლების შესახებ გაცილებით მეტ საკითხს ეხება, ვიდრე ამ სფეროში მოქმედი სხვა რომელიმე კანონი, თუმცა იგი გაუმართავია და არ მოიცავს იმ ძირითად ნორმებს, რომლებიც სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებებს დააკმაყოფილებს. განათლების სფეროსთან დაკავშირებულ არც ერთ საკანონმდებლო აქტში არაფერია ნათქვამი სასწავლო დამხმარე საშუალებათა შესახებ, მაგალითად, ბრაილის წიგნებისა და ხმოვანი ტექნიკის, ასევე საკანონმდებლო აქტებში ვერ ვხვდებით აუდიოდესკრიპციის შესახებ ჩანაწერს. სასურველია, რომ ამ საკითხებს სხვა კანონებიც მოიცავდეს. ყველა ადამიანს აქვს უფლება საკუთარი სურვილისამებრ განვითარდეს, ამისათვის მათ გარკვეული შესაძლებლობები ესაჭიროებათ. შშმ და სსსმ პირების შემთხვევაში ეს საჭიროებები უფრო მრავალფეროვანია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო აქტებში მითითებულ დამხმარე საშუალებებს შორის აუდიოდესკრიპციის შესახებ არაფერია ნათქვამი [5].

სამწუხარო ფაქტია, რომ ყველა დაწესებულების პედაგოგთა უმრავლესობას დასახელებული და სხვა სახის დამხმარე საშუალებების შესახებ ინფორმაცია არ

გააჩნია, სწორედ ამიტომ საკანონმდებლო აქტებში დამხმარე საშუალებების სრულყოფილად ასახვა მათი გამოყენების სიხშირეს საგრძნობლად გაზრდის, რადგან საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები საგანმანათლებლო სფეროში მოქმედ საკანონმდებლო აქტებს ხშირად ეცნობიან. „სწავლისათვის დამხმარე სასწავლო მასალები პირობითად ორ ნაწილად იყოფა: მაღალი და დაბალი ტექნოლოგიური დამხმარე საშუალებები. მაღალი ტექნოლოგიური დამხმარე საშუალება შეიძლება იყოს: კომპიუტერები, ხმის ჩამწერები, ადაპტირებული კლავიატურა, ხმოვანი საკომუნიკაციო დაფები, კალკულატორი, აუდიო წიგნები და სხვა. დაბალ ტექნოლოგიურ დამხმარე საშუალებებს კი ისეთ ინსტრუმენტებს უწოდებენ, როგორიცაა: ადაპტირებული კალამი, ბრაილის შრიფტით დაწერილი წიგნი, საწერი დაფა, წიგნის სამაგრი, ადაპტირებული სამუშაო რვეული და სხვა.“[3] როგორც ხედავთ, ჩამოთვლილ დამხმარე სასწავლო საშუალებებს შორის, აუდიოდესკრიპცია დასახელებული არ არის. რაც საგანმანათლებლო სფეროში მყოფ პირთა დაბალ ცნობიერებას იწვევს.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ, აუდიოდესკრიპციის შესახებ ცნობიერება დაბალია, რაც მისი გამოყენების სიხშირეს ამცირებს. იმისათვის, რომ მისი გამოყენება სავალდებულო გახდეს, მის შესახებ ინფორმაცია სათანადო საკანონმდებლო აქტების ნორმებში უნდა ჩაიწეროს. ლეგიტიმაცია საკმარისი ვერ იქნება თუ შესაბამის პირებს აუდიოდესკრიპციის სწორად გამოყენებისათვის საჭირო ცოდნა არ მივაწოდეთ, ამისათვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს ჩაუტარდეთ სწავლება, რომელიც აუდიოდესკრიპციის გამოყენების სპეციფიკის გაცნობაზე იქნება ორიენტირებული და აკადემიურ პერსონალს მისი მარტივად გამოყენების ტექნიკას ასწავლის,

აუდიოდესკრიპცია არის ის დამხმარე საშუალება, რომელიც მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის განათლებაზე მისაწვდომობას უფრო გაამარტივებს და მის სრულყოფილ დანერგვას საკანონმდებლო რეგულაციის შემოღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ბიბლიოგრაფია

1. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2, (02.01.2023) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0
2. ჯონსენი, ბ.ჰ. სკორტენი, მ.დ. *ინკლუზიური განათლება*, მთარგმნელი მ. ჯიქია; რედაქტორი მ.ხარებავა; თბილისი; 2011, გვ. 20
3. ბაგრატიონი-გრუზინსკი, მ. კვაჭაძე, ჟ. ლორთქიფანიძე, რ. გაჩეჩილაძე, ნ. *გზამკვლევი მასწავლებელთათვის „სასწავლო აქტივობები ყველასათვის“*, გვ.39
4. https://audiodescribe.com/2] (02.01.2023)
5. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, (02.01.2023) https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=97